# დილა

მაისი – ივნისი 1997 წელი

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

E 343
1997

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტარიელ ჭანტურია

## გმირები
(პათეტიკური)

სალამი სალამს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს!
ჩვენ ბევრჯერ ვიშვით
და ბევრჯერ მოვკვდით.
და როცა მოვკვდით -
ყოველთვის ვცხონდით!..
სალამი სალამს:
ნინოს და თამარს;
თამარს და ნინოს;
და ისევ - თამარს!
თევდორე ხუცესს;
ჰაატა რაინდს;
ცხრა ლომგულ ძმას და
არაგველს სამასს!..

ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
- საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!..

დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და ზადენს;
ზადენს და ჭყონდიდს...
საქართველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით -
ყოველთვის ვცხონდით!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

დახატა მიხეილ გოტიაშვილმა. IV კლ.

**ძვირფასო ბავშვებო!**

ჟურნალ „დილის“ ეს ნომერი რამდენადმე უჩვეულოა: რასაც ახლა მკითხველს ვთავაზობთ, თითქმის ყველაფერი - ლექსითა და მოთხრობით დაწყებული და მათი გაფორმებით დამთავრებული - თქვენი თანატოლების ხელითაა შესრულებული!

თუ ჟურნალში გაჭირვებული ბავშვის სახესაც გადააწყდებით, ეს ჩვენი სამწუხარო სინამდვილეა - დღეს თქვენი ასაკის პატარა მაწანწალაც არავის უკვირს საქართველოში!

როცა ქვეყანას უჭირს, ცხადია, უჭირთ ქვეყნის პატარებსაც!

ასე დიდხანს რომ არ გაგრძელდეს, ამაზე კი უფროსები ფიქრობენ. მამულზე და უკეთეს საქართველოზე ფიქრი, რასაკვირველია, თქვენც გევალებათ! ეს ნამდვილად ასეც არის, რაც პატარების იმ „შემოქმედებიდანაც“ ჩანს, ასე უხვად რომ ვთავაზობთ „დილის“ მკითხველს!

ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენი შემობრძანება ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებში, ჩვენო პატარა „შემოქმედნო“!

დოდო წივწივაძე



ნანა ჩარკვიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იესო ქრისტე და ბავშვები

მოდით, დღეს ვისაუბროთ ქრისტესა და ბავშვების შესახებ. მე გიამბობთ ორ ამბავს სახარებიდან.

ერთხელ იესო ქრისტეს მისმა მოწაფეებმა ჰკითხეს, ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველშიო. იესომ ყრმა, ანუ პატარა ბავშვი მოიყვანა და მოწაფეებს ასე უპასუხა, თუ არ იქნებით ისეთები, როგორიც ეს ბავშვია, ცათა სასუფეველში ვერ შეხვალთო. ვინც თავს პატარა ბავშვივით დაიმდაბლებს, ის ცათა სასუფეველში ამაღლდება. ვინც ჩემი სახელით ერთ ასეთ ბავშვს მიიღებს, ის მე მიმიღებსო.

სხვა ადგილას სახარებაში ვკითხულობთ: იესო ქრისტესთან მიიყვანეს ბავშვები, რომ მას ეკურთხებინა, ანუ დაელოცა ისინი. ქრისტეს მოწაფეებს ეგონათ, მათი მოძღვარი ვერ მოიცლიდა პატარა ბავშვებისათვის, მაგრამ მაცხოვარმა ასე უპასუხა მათ: - ნუ დაუშლით მათ ჩემთან მოსვლას, რადგან „ეგევითართაი არს სასუფეველი ცათაი“.

ჯერ ორიოდე სიტყვა ცათა სასუფევლის შესახებ ვთქვათ. სასუფეველი არის იქ, სადაც სუფევს, ანუ არის უფალი. ცათა სასუფეველი არ ნიშნავს, რომ სასუფეველი ზეცაშია. სასუფეველი იესო ქრისტემ დედამიწაზე მოიტანა. ქრისტე დღესაც ჩვენს შორის არსებობს, მაგრამ უხილავად. ჩვენ შეგვიძლია მისი განცდა. სასუფეველი არის ღვთის სიყვარულის განცდა, ღმერთთან ერთად ცხოვრება. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ სასუფეველი ქრისტიანის ცხოვრებაში ყველაზე მთავარია.

ახლა დავუბრუნდეთ ბავშვებს. მაინც, როგორები არიან ბავშვები, რომ ქრისტეს სწორედ ისინი მოჰყავს მაგალითად უფროსი ადამიანებისათვის! შეიძლება თქვენ ასეთი კითხვაც გაგიჩნდეთ, ჩვენც ხომ ბავშვები ვართ, ე. ი. ჩვენ ყველასათვის სამაგალითოები ვყოფილვართო. აქ საუბარია იმ ადამიანურ თვისებებზე, უპირველესად სწორედ პატარა, ჩვილ ბავშვებს რომ ახასიათებთ. გაიხსენეთ თქვენი პატარა დები ან ძმები, პატარა ნაცნობები, ისინი უფროსებისაგან განსხვავებით უბრალოები და გულწრფელნი არიან - რასაც განიცდიან, იმასვე გამოხატავენ. ჩვენ, კი უფროსები, ხშირად ერთს ვფიქრობთ და მეორეს ვამბობთ. ისე ვიქცევით, რომ სხვა ადამიანების წინაშე უკეთესად წარმოვაჩინოთ თავი.

ბავშვებს საოცრად ადვილად შეუძლიათ წყენის დავიწყება და შერიგება. გაიხსენეთ, როგორ წუხან და ნანობენ, თუ რაიმე ცუდი ჩაიდინეს და როგორ ელიან უფროსებისაგან პატიებას. ეს მართლაც მოსაწონი თვისებებია.

ბავშვები სრულიად ენდობიან თავიანთ მშობლებს, რადგან გრძნობენ, რომ მშობლებს საკუთარი შვილებისათვის მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე უნდათ. ასევეა ის ადამიანი, რომელიც იცნობს ყოვლისშემძლე ღმერთს - ის სრულიად ენდობა მას, რადგან იცის, რომ ღმერთს ისევე უყვარს ადამიანი, როგორც მშობელს საკუთარი შვილი.

ყველა ეს თვისება - უბრალოება, გულწრფელობა, პატიების, სინანულის, ნდობის უნარი ბავშვს ღვთისაგან აქვს მინიჭებული. მაგრამ ბავშვები არასოდეს ამაყობენ თავიანთი ღირსებებით, არ ფიქრობენ, რომ სხვებზე უკეთესები არიან. უფალიც სწორედ ამას გვასწავლის, - თავი დაიმდაბლეთო. ვინც ფიქრობს, რომ სხვებზე უკეთესია, მას არ შეუძლია სიყვარული. ის მხოლოდ საკუთარი თავით არის დაკავებული. ხოლო ვისაც მის გვერდით მყოფი ადამიანი არ უყვარს, ის ღმერთსაც ვერ შეიყვარებს. თავმდაბალი ადამიანი ცდილობს სხვაში კარგი თვისებები დაინახოს და დააფასოს. ამიტომ მას სიყვარულიც შეუძლია.

სახარებაში ქრისტე ამბობს: „რომელმან შეიწყნაროს (ანუ მიიღოს) ერთი ყრმაი ესევითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს“ (მათე, 18, 5). რას ნიშნავს ეს სიტყვები: მიმოვიხედოთ, ირგვლივ რამდენი ბავშვია ჩვენს გარშემო. ბევრი მათგანი უდედმამოდ იზრდება, მათ ყველაფერი აკლიათ - საჭმელიც, სასმელიც, ადამიანური სითბოც, სიყვარულიც. ყველა ადამიანი, ე. ი. თითოეული ასეთი ბავშვიც ღმერთის შვილია. მაცხოვარი სწორედ მათი სახით, მათი საშუალებით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში. თუ ჩვენ თანავუგრძნობთ მათ, დავეხმარებით რითაც შეგვეძლება, უფრო მეტიც, თუ ვეცდებით მათში ჩვენივე მსგავსი ბავშვი დავინახოთ, შევიყვაროთ ისინი, ღვთის მცნებას შევასრულებთ. ასე შემოვა ღმერთი ჩვენს ცხოვრებაში. ხოლო თუ არ შევეცდებით და გულგრილები დავრჩებით მათ მიმართ, ეს ნიშნავს, რომ ღმერთს შევაქცევთ ზურგს.

ღმერთმა ადამიანი თავის მსგავსად შექმნა. ის ყოველთვის ზრუნავს თითოეულ ჩვენგანზე. თუ ჩვენ სხვა ადამიანს თანავუგრძნობთ და ვიზრუნებთ მასზე, ღმერთს მივემსგავსებით. შეიძლება სწორედ ეს გახდეს ჩვენი ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისი. ვინც თავის თავში ღვთის მსგავსებას აღმოაჩენს, ის სხვაშიც ადვილად იპოვის იგივეს და ადვილად შეძლებს სხვის სიყვარულს. ღმერთი შეგვეწიოს! ამინ.

მოხატა ნათია მაჩაიძემ. IV კლ.

F-6 427

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბრძოლა

ჩვენს ტკბილ მამულში
იწყება ბრძოლა,
ვეფხვივით ბიჭები იცავენ მამულს,
ის კი არავის ახსოვს,
რომ სისხლისღვრა ხდება...
იცავენ მამულს,
იცავენ მამულს,
იცავენ მამულს!

## ლომი

მხეცები გლეჯენ ერთმანეთს -
ლომს ყველა ემორჩილება,
აქ კი რა ხდება, ღმერთო!
აქ არავინ ემორჩილება მეფეს.

**ლევანიკო ბაბუხადია**
**8 წლის. 1993 წელი.**



დახატა ამირან ხარისთვალაშვილმა. IV კლ.

## სამშობლოს

საცეკვაოდ გამიწვევ,
უმალ გამოგყვები,
იქნებ დაცვაც დაგჭირდეს -
თავს გემოგევლები.

## *****

გავიკეთებ თხილამურებს,
მთიდან დავსრიალდები,
სულ ყველას რომ ვაჯობებ,
ჩემპიონი გავხდები.

**სანდრო ლოსაბერიძე**
**5 წლის. 1993 წელი.**





დახატა არტუშ დავიდოვმა. IV კლ.



დახატა ეკა დანელიანმა, IV კლ.

# ვაშლი

თავდაპირველად მეც ძალიან პატარა ვიყავი, სხვა ვაშლები დამცინოდნენ: „როდისღა მომწიფ-დებიო?!“ მაგრამ გავიდა დრო და დიდი, სისხლი-ვით წითელი ვაშლი გავხდი.

ერთ დღეს უცნობი მესტუმრა. წითელი ფერი-სა იყო. შიგნიდან ოთხტოტა არსება გადმოვიდა, ერთი ისეთივე არსება ხეზე ამოვიდა და რამდე-ნიმე ჩემი ამხანაგი მოიტაცა. მეც თან მიმაყოლა. შიშისაგან გონება დავკარგე. როცა გამომეღვიძა, ერთი საწყალი ვაშლი დავინახე, დასერილი ჰქონ-და ტანი და საშინელი დაავადება - დამპლობა სჭირდა. ერთმა პატარა არსებამ, რომელსაც ოთხი ტოტი ჰქონდა, ამიღო, ჩამკბიჩა, შორს მის-როლა და თქვა: „დედა, მე იოგურტი და ბანანი მინდა, ეს არ მომწონს“. „უიმე, შვილო, ვაშლის ჭამა რად გინდა, რამდენი ტკბილეული გვაქვს“, გაეპასუხა მეორე. ელდასავით მეცა ეს სიტყვები.

რამდენიმე დღის შემდეგ ქუჩაში, ნაგვის ყუთ-ში აღმოვჩნდი...

სიბინძურე იყო. მიბნელებულ ადგილზე ვეგდე, აყროლებულიყო ირგვლივ ყველაფერი. გამახსენ-და სუფთა ჰაერი, მზის კეთილი შუქი, ნუშის ხე ჩემს გვერდით... ღმერთო, რა ლამაზი იყო, მაგ-რამ...

**გიორგი ვეკუა**
თბილისის 53-ე სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე.



დახატა ლაშა ამინაშვილმა, IV კლ.

**შაქრო ქიტიაშვილი**
10 წლის

## ვარძია

წავალ ვნახავ ვარძიას,
ქართულ მიწას ხანძრიანს,
ლეგენდების, გმირების
აკვანი რომ არწია.
წავალ ვნახავ ვარძიას,
ალაგს მრავალტაძრიანს,
ქალაქს მრავალფანჯრიანს,
მტერს რომ დაუტანჯია.
წავალ ვნახავ ვარძიას,
ის ხომ ჩვენი განძია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვებული ბავშვები

1996 წლის ნოემბერ-დეკემბრის ნომერში „დილამ“ თავის მკითხველებს შესთავაზა საჩუქრის მისაღები კითხვა - ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფის და პირველი ქართული სამეფო დინასტიის დამაარსებლის შესახებ.

ძალიან გაგვახარა პასუხების სიმრავლემ და სიზუსტემ. მაგრამ ყველაზე ამომწურავი და საინტერესო პასუხები გამოგვიგზავნეს ხაშურის რაიონის დაბა სურამის II საშუალო სკოლის მოსწავლემ **ნანუცა მუმლაძემ** და თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მესამეკლასელმა **ლაშა მარგიშვილმა**. იმდენად მოგვეწონა ეს პასუხები, რომ ვერ გადავწყვიტეთ, რომლისათვის მიგვეცა უპირატესობა. ამიტომ დაპირებული საჩუქრის - ფარნავაზის პორტრეტის - დახატვა ჩვენს ორ მხატვარს ვთხოვეთ, ორი გამარჯვებულისათვის, ნანუცა მუმლაძისა და ლაშა მარგიშვილისათვის.

მაგრამ უსათუოდ გვინდა აღვნიშნოთ სხვა ბავშვებიც. მშვენიერი, სხარტი პასუხი მივიღეთ თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მოსწავლის, **ანა ბუცხრიკიძისაგან**; უფრო მოკლედ, მაგრამ არსებითად სწორად გაგვცეს პასუხი გიმნაზია „მოძღვარის“ III კლასის მოსწავლემ **ნიკა ჭელიძემ**, ხაშურელმა პირველკლასელმა ბიჭუნამ **ვახტანგ ხარაზიშვილმა**, რომელმაც თურმე ყველაფერი იცის ფარნავაზ I-ზე, (დედიკო მიყვება ქართველ მეფეებსა და გმირებზეო), მაგრამ ზეპირად უფრო შეუძლია მოყოლა, რადგან ჯერ ამდენი წერა უჭირს; და თბილისელმა მესამეკლასელმა **დავით ლაფაურმა**.

მოხარული ვართ, რომ ჩვენს ბავშვებს ასე უყვართ და აინტერესებთ საქართველოს ისტორია და ქართველ მეფეთა და გმირთა თავგადასავლები.

ახლა კი 1997 წლის იანვარ-თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის პასუხი: ხომ გახსოვთ; ბურატინო, მალვინა და პიერო ყარაბას-ბარაბასს რომ გაექცნენ და მამილო კარლოსკენ გაეშურნენ თავის შესაფარებლად!

ამოცანაზე სწორი პასუხი ყველა თანატოლზე უწინ მოგვიტანა კერძო დაწყებითი სკოლა „მოძღვარის“ IV კლასის მოსწავლემ **კობა სალაყაიამ**.

 აი ეს პასუხიც: კუ 10 წუთში გადაიყვანდა მალვინას და პიეროს ტბის გაღმა ნაპირზე. მერე უკან დაბრუნდებოდა ბურატინოს მისაშველებლად. 5 წუთში ის შეხვდებოდა ბურატინოს, რომელიც ზუსტად 15 წუთში იქნებოდა ტბის შუაგულში (მას ხომ ტბის გადასაცურად 30 წუთი სჭირდებოდა), კიდევ 5 წუთში კუ ბურატინოსთან ერთად უკან გადასცურავდა ტბას, ესე იგი, 20 წუთში მეგობრები ტბის გაღმა იქნებოდნენ; 18 წუთიც, და ისინი უკვე მამილო კარლოსთან შეაფარებდნენ თავს. ყარაბას-ბარაბასი მათ ვერ დაეწეოდა, რადგან ტბას 30 წუთში შემოურბენდა, მერე კი 9 წუთი სჭირდებოდა (სულ 39 წუთი) მამილო კარლოს სახლამდე.

**რედაქტორისაგან:** კობას უკვე მიღებული ჰქონდა შეპირებული საჩუქარი, რომ მეზობელი რედაქციის თანამშრომელმა ბარათი შემოგვიტანა:

„ვიყავი 1 მარტს, დილის 10-საათზე, რედაქციაში არავინ არ იყო. მოვიტანე „დილაში“ გამოქვეყნებული ამოცანის პასუხი...“

**თამუნა ქართველიშვილი**
161-ე სკოლის V კლასის მოსწავლე

ჩემო პატარა თამუნა, შენი წერილი და ამოცანის სწორი პასუხი დაგვიანებით გადმომცეს. შევწუხდი, რომ რედაქციაში არავინ დაგხვდა. არადა, პრიზი ნამდვილად გეკუთვნის - შენ შენს თანატოლებს ამოცანის ამოხსნა მოასწარი (რაც ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო), ხოლო რედაქციის თანამშრომლებს- სამსახურში მოსვლა!

ამიტომ მეორე გამარჯვებული შენა ხარ.

რედაქციაში ცისფერთვალება „სუსანა“ გელოდება!

ჩემო პატარა მეგობარო! როცა საჩუქრის მისაღებად მოხვალ, შეეცადე რედაქციის თანამშრომლებს ისევ არ მოასწრო, თორემ შენ სკოლაში გაკვეთილების გაცდენისათვის დაგსჯიან, მე კიდევ ჩემი ის თანამშრომელი მეყოლება სამსახურიდან მოსახსნელი, რომელსაც ყველაზე ადრე ევალება რედაქციაში მოსვლა.

**დოდო დეიდა**

**ზურაბ კეკელია**

ხან აგაცეკვებს „ხორუმს“,
ხანდახან „განდაგანას“.
დღისით თუ ღამე ურტყამენ,
მაგრამ არ სტკივა, არა.

**თამარ ფხაკაძე**

რკინის არის,
ცად დაფრინავს,
ბორბლებს ისხამს
დაშვებისას.

# გამოცანები



ძმები გრიმები

# მწვანეკაბიანი ბებია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქალი. ჰყავდა ორი შვილი. ერთ დღეს დედა ავად გახდა, მის გამოსაკეთებლად საჭირო იყო სოკო, და ბავშვები გაგზავნა სოკოს მოსაკრეფად. ისინი კრეფდნენ სწრაფად და მალე აავსეს კალათი სოკოთი. იმ დროს, როდესაც ბავშვები სახლში წამოსვლას აპირებდნენ, მათთან მივიდა მწვანეტანსაცმლიანი მოხუცი ქალი და სთხოვა: „იცით, ჩემო პატარებო, მე ძალიან მიყვარს სოკო, მაგრამ მოხუცი ვარ და მოკრეფა არ შემიძლია. მაჩუქეთ ცოტა სოკო“. ბავშვებს შეეცოდათ მოხუცი, მისცეს სოკო და თავიდან დაიწყეს კრეფა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა მოხუცი და გოგონებს უთხრა: „აიღეთ თქვენი სოკო, მე თვითონ შემიძლია მოკრეფა. თქვენ ძალიან კარგი ბავშვები ხართ და მე გაჩუქებთ ერთ თეთრ და ერთ ლურჯ ყვავილს. ყოველ დილას გამოუცვალეთ მათ წყალი და არასოდეს არ გაბრაზდეთ ერთმანეთზე“.

ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს კეთილ მოხუცს და სახლში წავიდნენ. დედამ შეჭამა სოკო და მალე გამოჯანმრთელდა. ბავშვებმა უამბეს დედას მოხუცის შესახებ. დედამ მოუწონა შვილებს საქციელი.

გავიდა დრო. ყვავილები ძალიან ლამაზად და ცოცხლად გამოიყურებოდნენ. ბავშვები კი არასოდეს არ იყვნენ ერთმანეთზე ნაწყენნი.

ერთ საღამოს ბავშვებს ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანეთზე გაბრაზებულნი დაწვნენ. დილას, როდესაც გაიღვიძეს, დაინახეს, რომ ყვავილები გაუფერულებულიყვნენ და დამჭკნარიყვნენ. ბავშვები ძალიან შეწუხდნენ და დიდხანს ტიროდნენ. ყვავილებმა იგრძნეს, რომ ბავშვები მიხვდნენ თავიანთ დანაშაულს. უცბად მათ დაიბრუნეს თავიანთი ფერი: თეთრი ყვავილი თეთრი გახდა, ხოლო ლურჯი ყვავილი ლურჯი.

იმ დღის შემდეგ ბავშვები ბედნიერად ცხოვრობდნენ, არასოდეს ჩხუბობდნენ და ყვავილებიც კარგად გამოიყურებოდნენ.

გერმანულიდან თარგმნა
**მარიკა ბახტაძემ**
12 წლის.



ანა საბახტარიშვილი
161-ე საშუალო სკოლა

* * *

დოლი გახურდა, დაიწყო ცეკვა,
ჩონგური მღერის, ჩონგური ცეკვავს.
ყველა აცეკვდა, ქვეყანა ცეკვავს,
მღერის და ცეკვავს, მღერის და ცეკვავს.
მთელი ქვეყანა ცეკვაში არის
ყველა თავისთვის სიმღერას მღერის,
ყველა თავისთვის ცეკვავს და მღერის,
ცეკვავს და მღერის, ცეკვავს და მღერის.



დახატა კახა შალამბერიძემ. VI კლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲓᲔᲓᲐ

დედა, ჩემო სანატრელო,
მუდამ მეყვარები,
ჩემი სწავლით, ჩემი ცოდნით,
შენც დაგეხმარები.
ოქროს წინსაფარს გიყიდი,
როცა გავიზრდები.
ახლა კი მინდა მოგართვა
ჭრელი ყვავილები.

**ᲡᲝᲡᲝ ᲩᲘᲥᲕᲘᲚᲐᲫᲔ**
დაწყებითი სკოლა-გიმნაზია „მოძღვარის“
III კლასის მოსწავლე



* * *

„დილამ“ ჩვენი ანბანი
რა ლამაზად დახატა.
ეს ზღაპრული ფერები
ფერიამ თუ აჩუქა!

**ᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔ**
I კლასი

## ᲛᲗᲐ ᲕᲐᲠ

ვდგავარ და ვდგავარ,
ვერცა ვინძრევი,
ვერც ვლაპარაკობ!
ადამიანები ბჭობენ,
ლაპარაკობენ,
მე კი მთა ვარ,
და ვერც ვინძრევი,
ვერც ვლაპარაკობ.
მე დრო უზღვავად მაქვს,
მაგრამ არა მაქვს ენა
სალაპარაკოდ.
რომ ვინმემ უცბად ჩამიდგას
ენა,
პირველი, რასაც ვკითხავდი
ყველას:
რა არის დედა ენა?

**ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲮᲘᲫᲔ**
11 წლის. 1993 წელი

## ᲓᲔᲓᲐᲡ

დედა, მე ჯერ პატარა ვარ,
სწავლით მოგეხმარები,
და როდესაც გავიზრდები, კვლავ ასე
მეყვარები.
ჩემი ცოდნით გასახელებ, საამაყო
ვიქნები.
სიხარულად შეგეცვლება ეს მწუხარე
ფიქრები.
ჯერ კი რა ვქნა, პატარა ვარ,
შენს კალთის ქვეშ ვიზრდები.

**ᲜᲘᲙᲐ ᲭᲔᲚᲘᲫᲔ**
დაწყებითი სკოლა-გიმნაზია „მოძღვარის“
III კლასის მოსწავლე

ᲓᲐᲮᲐᲢᲐ ᲑᲔᲥᲐ ᲤᲐᲠᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ. IV ᲙᲚ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძვირფასო რედაქციავ!

გასული წლის მაის-ივნისის ნომერში დაიბეჭდა ჩვენი შვილიშვილების – ნინიკო და მანანა ამბიძეების სურათები, სადაც რედაქცია ულოცავდა მათ დაბადების დღეს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული მოუტანა პატარებს თქვენმა ჟურნალმა. ამიტომ გვინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ თქვენ, ყველას, რედაქციის თანამშრომლებს, განსაკუთრებით მთავარ რედაქტორს ქ-ნ დოდო წივწივაძეს შესანიშნავი ჟურნალის გამოცემისათვის.

იცოცხლეთ, იხარეთ და იდღეგრძელეთ პატარების გულის გასახარად.

პატივისცემით,
მანანა და კარლო ამბიძეები
ქ. თბილისი

## ძვირფასო რედაქცია!

„დილის“ ბოლო ნომერმა ძალიან გამახარა. მასში ხომ ჩემი სურათი იყო დაბეჭდილი. ყველას ვაჩვენე, სოფელში ბებოს და პაპასაც გავუგზავნე. დიდი მადლობა!

მორიგ კითხვებზე პასუხის გასაცემად დედამ ბავშვებისათვის დაწერილი „ქართლის ცხოვრება“ წამაკითხა. რა კარგი მეფე ყოფილა ფარნავაზი, მაგრამ პასუხები არ გამომაგზავნინა, ასე მითხრა დედამ: მთავარია შენ იცოდე, ყოველთვის გაგზავნა რა საჭიროაო?!

პატივისცემით,
ნათია დუნდუა

## გამარჯობა, ძვირფასო «დილა»!

გწერთ თინათინ ავალიანი. ძალიან დიდი მადლობა, დაბადების დღე რომ მომილოცეთ. ძალიან გამეხარდა. დედიკოსაც ძალიან გაეხარდა. მე ძალიან მიყვარს „დილა“. ყველაფერი ძალიან მომწონს და სულ ველოდები „დილას“.

მე კიდევ მოგწერთ.

თინათინ ავალიანი

მე, დედა და მამა მოსკოვში ვცხოვრობდით. თბილისში ოქტომბერში ჩამოვედით: სკოლაში უნდა წავსულიყავი, მაგრამ სწავლა კარგა ხნის დაწყებული იყო. სამაგიეროდ ისეთი მასწავლებელი შემხვდა, რომ ჩემს კლასელებს სულ იოლად დავეწიე. მერე დედამ „დილის“ ის ნომერი მომიტანა, რომელშიც ანბა ნთქება იყო: ამ ლამაზმა ნახატებმა ქართული ასოებისა და ქართული კითხვის შესწავლა საოცრად გამიიოლეს. თინიკო მასწავლებელმაც თქვა: ეს ისეთი ნომერია, ყველა ბავშვს უნდა ჰქონდესო. ბავშვებსაც ძალიან მოეწონათ.

დიდი მადლობა იმისათვის, რომ ასეთი კარგი საჩუქარი გაგვიკეთეთ.

ნინო გაჯიევი
65-ე საშუალო სკოლა

## ძვირფასო რედაქცია!

გამარჯობათ, მე სიხარულით მოველი ყოველ თქვენს ახალ ნომერს. ახალ-ახალ საინტერესო ამბებს ველი ყოველთვის თქვენგან, გვიხარია ბავშვებს, რომ თქვენ არ გვივიწყებთ და გვილამაზებთ ცხოვრებას.

ნანუცა მუმლაძე

## რედაქციას!

*მე ბებია ვარ და მთავარ საზრუნავად მაქვს შვილიშვილის გონებრივი განვითარება. ვცდილობ მივაწოდო მას მისი ასაკის შესაფერისი მხატვრული თუ შემეცნებითი ხასიათის ლიტერატურა. მაგრამ დღევანდელ ყოველმხრივ რთულ პირობებში ეს არც თუ ისე იოლია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბევრს არაფერს აკეთებენ მოზარდთა გონებრივი სრულყოფისათვის. და აი, ერთ დღეს ჩემს შვილიშვილს, ანის საჩუქრად მოართვეს ჟურნალი „დილა“. მას შემდეგ „დილა“ ჩვენი ოჯახის მუდმივი სტუმარი გახდა. იგი არა მხოლოდ ბავშვისთვის, უფროსებისთვისაც მეტად სასარგებლო საკითხავია. მისი მრავალფეროვანი პროგრამა მთლიანად მოიცავს ბავშვის განვითარებისათვის აუცილებელ ყველა სფეროს, და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, იგი იძლევა მომავალი თაობის რელიგიურ საწყისებზე აღზრდის უნიკალურ საშუალებას.*

*დიდ მადლობას მოვახსენებ ქალბატონ დოდოს და ყველას, ვინც ხელს უწყობს „დილის“ გამოცემის საშვილიშვილო საქმეს.*

*ჩემის აზრით, ჟურნალი „დილა“ საბავშვო ბაღებში საპროგრამო ლიტერატურად, ხოლო დაწყებით კლასებში კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურად უნდა დაწესდეს.*

მადლიერებით - ნელი ეგუტიძე

მოხატა ნათია მაჩაიძემ, IV კლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





გალაკტიონ ტაბიძე

# ქუჩაზე

პატარა პირუტყვებივით ყრია ბავშვები
ზამთრის ქუჩებში.
პირუტყვებს მაინც რამე ფარავს,
ბავშვებს – არარა.
ხბოს რომ ბოსელში შეაგდებენ
ამ ცივ ზამთარში,
მას თვალებჭროლა გვერდს ეყოლება
ძვირფასი ძროხა.
მაგრამ ბავშვებსაც ნახირივით
უყვართ ცხოვრება.
აი ქუჩაზე ეტლს მიათრევს
ფაშატი ცხენი.
იცის იმ ცხენმაც, რომ დახვდება
სითბო და თივა,
მოხსნიან ლაგამს და საპალნეს,
მისცემენ თოფრას.
ასე არ ოცნებობს პატარა მაწანწალა
ამოწუმპული და უფერული,
იგი ახლავე არის მშიერი მგელი,
იგი ახლავე არის ლაქუცა ძაღლი.
სნეული ბავშვები,
კატის კნუტებივით ღამით მიყრილი
თოვლიან ქვებზე...





## თორნიკე

ამ ლექსს ვუძღვნი ჩემს თანაკლასელს, რომელიც ბაბუასთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა.



მეგობარო თორნიკე,
რომ წახვედი ცაში,
ყველას გული გვატკინე
სკოლასა თუ სახლში.

რად გაყევი ბაბუას,
რად წახვედი ცაში,
ბედისწერა რომ არა,
იქნებოდი სახლში.

ყველას გული გვატკინე
სკოლასა თუ სახლში.

**თეონა რამაზაშვილი**

* * *

ჩემო კარგო მამიკო,
რა, კარგი ხარ, რაო,
ომში წახველ, დაიკარგე,
ვტირი შენზედაო.

**ქეთი ნიქაბაძე**
140-ე საშუალო სკოლის
II კლასის მოსწავლე.

მასწავლებელმა თავისუფალი თემა დაასახელა: **ამ ქვეყნად როცა ავიდგი ენა. პირველი სიტყვა იყავი. დედა!**

ბავშვები ახმაურდნენ, ყველას გაუხარდა...

**«ღმერთო. რა დაგიშავე. ან შენ. მასწავლებელო!?»**

დედა, მე რომ ენა ავიდგი, შენ აღარ იყავი. ამიტომ არ ვიცი, ჩემი პირველი სიტყვა რა იყო: დედა, მამა თუ მამიდა. მაპატიე, დედა, თუ შენი სახელი არ მითქვამს პირველად. თუმცა პოეტები წერენ, უკანასკნელი ამოკვნესა დედააო! ამას შეგისრულებ, დედა! დედა, ძალიან მენატრები. მეცოდები კიდეც, რომ მარტო ხარ. ყველაზე ძალიან მაშინ მეცოდები, როდესაც ზამთარია, მე თბილ ოთახში ვზივარ და შენ კი გაყინულ მიწაში წევხარ.

დედა! ერთი ნატვრა შემისრულე, ერთხელ მაინც დამესიზმრე, ერთხელ მაინც დამანახე შენი მოღიმარე, მოალერსე სახე!

დედა, ჩვენები სუყველანი კარგად არიან. შენც ხომ კარგად ხარ? ხომ ხარ სამოთხეში? ხომ არის შენი სული ზეცაში?

ღმერთს ვინც უყვარს, ის მიჰყავს, შენც იმიტომ წაგიყვანა, მოეწონა შენი ლამაზი სული და სახე, ალბათ, იმიტომ მოგიძებნა ადგილი ზეცაში, თავისთან ახლოს!

ჩემზე მეტად, დედა, შენ არავის უყვარდი!

გიორგიზე მეტად, დედა, შენ არავის უყვარდი!

ამიტომ უფლება არავის ჰქონდა, შენი თავი წაერთმია ჩვენთვის, არც ღმერთს!



„მიმნელდება შენს საფლავთან მოსვლა...
დედა, ვინ თქვა, ქვეყანაზე არ ხარ!

მე სიცოცხლეს ყვავილებით ვმოსავ,
ყვავილებში მწუხარებას ვმარხავ...“



დედა, მენატრები!!!

**შენი მაიკო**

დახატა **ნანა ღვალაძემ. III კლ.**

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა





# გააკეთეთ თქვენი ხელით

VI კლასის მოსწავლემ **ანანო არაბულმა** ძველი ქართული თოჯინების ტიპის თოჯინა გააკეთა. თქვენც შეგიძლიათ მისი გაკეთება.

აიღეთ სხვადასხვა სიგრძის ორი ჯოხი, პლასტმასის ბურთულა და მიტკლის ნაჭერი.

სიგრძივად დახეული მიტკლის ნაჭრით ჯოხები ჯვარედინად მიამაგრეთ ერთმანეთზე; ბურთულა გახვრიტეთ და გრძელი ჯოხის თავზე ჩამოაცვით. ბურთულაზე გადაჭიმეთ მიტკალი და ვაჟის ანდა გოგონას სახე ამოქარგეთ ფერადი ძაფებით. სამოსელი შეუკერეთ და მორგეთ თქვენი გემოვნებით. თმები გაუკეთეთ მატყლის ანდა ბამბის ძაფისაგან.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი

შეავსეთ კროსვორდი ისე, რომ ვერტიკალურ სვეტში მიიღოთ სიტყვა „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“.

1. დიდებული კათედრალური ტაძარი საქართველოს ძველ დედაქალაქში.
2. სვანეთის კავკასიონის ულამაზესი მწვერვალი.
3. მართლმადიდებლობისათვის წამებული ადამიანი.
4. პოეტი, რომელმაც აალაპარაკა ბუნება.
5. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი კახეთში.
6. ყველაზე ნათელი ფერი.
7. თბილისის ერთ-ერთი უბანი.
8. ტაძარი, რომელიც წინათ ციხე იყო.
9. გამაგრილებელი სასმელი.
10. თევზის სახეობა.



შეადგინა დაწყებითი სკოლა-გიმნაზია „მოძღვარის“ IV კლასის მოსწავლემ **ლაშა გეგეშიძემ**

## რებუსები









შეადგინა **ნინო მაჭარაშვილმა**, 8 წლის



# ადამიანის ყველაზე ერთგული მეგობარი

უძველესი დროიდან ადამიანმა ბევრი ცხოველი მოიშინაურა - გარეული ცხენი, ვერძი, ღორი... ყველა მოშინაურებულ ცხოველს შორის პირველობა ძაღლს ეკუთვნის. იგი საიმედო მეგობარია, თავდადებული დარაჯი, ერთგული მოსამსახურე, გონიერი და ჭკვიანი.

ხშილო, მაიმუნი და ძაღლის გარეული ნათესავები - მგელი, ტურა და დინგოც ჭკვიანები და გონიერები არიან, მაგრამ ძაღლს მაინც ჩამოუვარდებიან. თუ რატომ - ეს ადვილი მისახვედრია. ძაღლი უხსოვარი დროიდან ადამიანთა წრეში ცხოვრობს. ადამიანი კი ყველაზე ჭკვიანი და გონიერი არსებაა დედამიწის ზურგზე. ის იყო ძაღლის მწვრთნელი და მასწავლებელი. მან შეარბილა, გაანაზა მისი მგლური ბუნება. მაგრამ მოშინაურებული ძაღლი თუ გაველურდა, მგლის მსგავსად ადამიანის დაუძინებელი მტერი ხდება. ასეთია ავსტრალიის მთებსა და ტყეებში მობინადრე გაველურებული ძაღლი - დინგო. დინგო ბრაზიანი და ცბიერი ცხოველია, მთელი იერითა და ავაზაკური ქცევით მგელსა ჰგავს. მაგრამ ადამიანმა ამ გაველურებული ძაღლის მოთვინიერებაც შეძლო. ყველა ჯიშის ძაღლმა იცის ცურვა, მაგრამ ყველაზე გამოჩენილი ამ საქმეში „წყალმრომია“ ძაღლია. ის უმთავრესად შავი ფერისაა, ტანად მაღალი, მოყვანილი, ჩაფსკვნილი, დიდი თავი აქვს და ჭკვიანი სახე, გრძელი და ბანჯგვლიანი კუდი, რბილი, ელვარე ბალანი და კეთილშობილი იერი. „წყალმრომია“ ოჯახში მძიმე სამუშაოებს ასრულებს, მაგრამ მისი ყველაზე დიდი დამსახურება მაინც ის არის, რომ ბევრი გადაურჩენია დახრჩობისაგან. პატარა ბავშვებს სრულიად არხეინად შეუძლიათ ბანაობა ან თამაში წყლის პირას, თუ „წყალმრომია“ სადმე იქვე ახლოსაა. მეზღვაურებს შორეულ ნაოსნობაში დაჰყავთ ეს ძაღლი, როგორც მაშველი კატასტროფის შემთხვევაში.

მთის ძაღლების სახელით არის ცნობილი სენბერნარის ჯიშის ძაღლი. მისი სამშობლოა უღელტეხილი შვეიცარიის ალპებში, სადაც წმინდანის - სენ-ბერნარის მონასტერია აშენებული. ეს დიდებული ძაღლი, როგორც ვარაუდობენ, დანიური დოგისა და ინგლისური ნაგაზის ნაჯვარია.

ამ ადგილებში რვა თვე მკაცრი ზამთარი იცის. გაუვალ ბურუსს, ქარბუქს, ნამქერს და ჩამოწოლილ ზვავებს უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს. დაღუპულ ადამიანთა რიცხვი ალბათ გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა არაჩვეულებრივი ყნოსვის მქონე სენბერნარები, რომლებიც თოვლქვეშ მოყოლილ მგზავრებს აგნებენ.

ლეგენდად იქცა სენბერნარის ჯიშის ძაღლის „ბარის“ სახელი. ბარიმ არაერთი ადამიანი იხსნა სიკვდილისაგან და სავსებით სამართლიანად დაიმსახურა ის ქება და დიდება, რომლითაც მას მოიხსენიებენ: „ჩვენო ბარი, შენისთანა ძაღლი ჯერ არ გაჩენილა დედამიწის ზურგზე, შენისთანა ცხოველს ჯერ კაცობრიობა არ მოსწრებია. შენ იყავი გაჭირვებულთა და სიკვდილის პირზე მყოფთა მხსნელი და მშველელი; ორმოცზე მეტი ადამიანი გადაარჩინე სიკვდილს. პურითა და პაწია ბოთლით დატვირთული კალათა გეკიდა ყელზე და ყოველდღე - ქარბუქში და [illegible]დი, გაფაციცებით დაეძებდი თოვლქვეშ მოყოლილებს. თუ შეგეძლო, შენ თვითონვე იყვანდი საბრალოს, თუ არადა მონასტერში გარბოდი, ბერებს ეძახდი, უბედურების ადგილზე მიიყვანდი, ჩაფლულს ამოთხრიდით და ბინაზე მიიყვანდით. ჩუმად, უხმაუროდ, წმინდა ადამიანური ალერსითა და დაყვავებით იცოდი თანაგრძნობის გამოხატვა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ პაწია ბიჭუნა, შენ რომ თოვლიდან ამოთხარე, ვერც კი გაგიბედავდა უსიტყვოდ ზურგზე შემოგჯდომოდა და მონასტერში გამოგყოლოდა. გამოგართვეს თუ არა ბერებმა შენი ძვირფასი ტვირთი, შენ ერთი წუთიც არ დაგიკარგავს, მაშინვე უკან გაქანე, ეგება კიდევ წააწყდე სადმე გაჭირვებულსო. გაუბედურებული ადამიანის გადარჩენა, შენთვის ზეიმი იყო, შენს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა, უფრო ალერსიანი, გულკეთილი, თავაზიანი ხდებოდი ასეთ დროს. ბრძანება არასოდეს დაგჭირვებია, შენ თვითონ კარგად გესმოდა შენი მოვალეობა, რომელსაც კარგი სინდისიერი ადამიანივით ასრულებდი. მთელი თორმეტი წელიწადი იმუშავე, ახლა კი მკვდარი ხარ და შენი ქეჩხო (ტყავი) ბერნის მუზეუმშია მოთავსებული“. (ბერნი შვეიცარიის დედაქალაქია).

აი, კიდევ ერთი ლეგენდად შემორჩენილი ამბავი ძაღლის ერთგულებაზე.

1900 წელზე მეტი ხანია მას შემდეგ გასული. ჩვენი წელთაღრიცხვის 79 წელს ვულკან ვეზუვის ამოფრქვევისას ფერფლმა დაფარა სამი ქალაქი - დიდებული პომპეა, სტაბიე და ჰერკულანუმი. თვრამეტი საუკუნის შემდეგ არქეოლოგებმა გათხარეს ეს ადგილები. და აი, ჰერკულანუმში აღმოჩნდა დაახლოებით თოთხმეტი წლის ბიჭისა და ძაღლის ჩონჩხები. ძაღლი ბიჭს გადაფარებოდა გადასარჩენად. საყელოზე მას ამოკვეთილი ჰქონდა სახელი - „დელტა“ და წარწერა, რომელიც იუწყებოდა, რომ ამ ძაღლმა სამჯერ იხსნა თავისი პატრონი სიკვდილისაგან - ერთხელ დახრჩობას გადაარჩინა, მეორედ ავაზაკებს გამოსტაცა, მესამედ კი - მგლებს.

აი, რას ჰქვია თავგანწირვა. მხოლოდ სტიქიურ უბედურებას დაანება ლეგენდარულმა „დელტამ“ თავისი პატარა მეგობარი და მასთან ერთად თავისი სიცოცხლეც.

**ანუკა კუპრეიშვილი**
55-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე



დახატა ოთარ კალანდარიშვილმა. IV კლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ღრუბლები და ქარი

ერთ მშვენიერ დღეს ორი ღრუბელი ერთმანეთს გაებუტა. ამ სცენას თვალი მოჰკრა ქარმა, რომელიც იქვე ახლომახლო დანავარდობდა. მან მოინდომა ღრუბლების შერიგება. დაუბერა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ერთმანეთს შეაჯახა. გაბრაზებულმა ღრუბლებმა ერთმანეთს შეხედეს და იმის გამო, რომ ისევ ერთად იყვნენ, სიხარულის ცრემლები გადმოყარეს.

წამოვიდა თბილი, ჟუჟუნა წვიმა.

**სანდრო მანია**
IV კლასის მოსწავლე

## წვიმს

წვიმს, განუწყვეტლივ წვიმს,
მისგან ფოთლები თრთის,
ჩემი ლამაზი ფიქრები
ჰგავს დიდი მთების ნისლს.
ცის ტირილს მოსდევს დარი,
ცისარტყელების ჯარი
და ნაირფერი ოცნება,
სული კი მაინც ვერ ცხრება.

და ვწერ მე ამ დროს ლექსს,
ჩემი ფიქრების ტექსტს,
ვგავარ იმ ლომის ლეკვს,
ჩვილის მილით რომ თვლემს.

**ნანი ბალახაძე**
VIII კლასის მოსწავლე

დახატა მიშიკო ბერულაშვილმა. VI კლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ანა კალანდაძეს

შენი პაწია რტო ვარ,
შენი პაწაწინა თვალი,
გუშინ ჩუმად შევცქეროდი,
ატმებს როგორ კრეფდა ქალი.
ქარი დამმახოდა მკაცრად,
ჩაიქროლა, ჩამიმტვრია გვერდი,
შენ კი ქარში იდექ, ანავ,
ფიქრობდი და ჩემზე ლექსებს წერდი.

**ანა ლოლუა**
ქ. ზუგდიდის აკ. წერეთლის სახელობის
№1 გიმნაზიის II კლასის მოსწავლე

დახატა ცისია კალანდაძემ, IV კლ.

## სტუმარ-მასპინძელი

(ზღაპარი)



დახატა ლევან ელიზბარაშვილმა, IV კლ.

ზამთარია. კისრამდე თოვლი დადო. კარებზე კაკუნი გაისმა. კარი გავაღე და გათოშილი ჭინჭველა შემრჩა ხელში. შემოვიყვანე ჭინჭველა, ცხვარი დავუკალი და როგორც სტუმარს შეეფერება, ისე გავუმასპინძლდი. სუფრაზე დავძმობილდით და გავშაირდით: „ჭინჭველა დავიძმობილე, დავიწყეთ მასხარაობა“. შეთვრა ჩემი ძმობილი და გინება დაიწყო. გავბრაზდი და ერთი მაგრად წამოვარტყი. იმან ხელი შემომიბრუნა - „ერთი წავარტყი კისერში, დაიწყო ჯანჯღალაობა“. სულ ცოფები ვყარე. ავწიე ფეხი და მოვსრისე. სოფელში შევრცხვი, თავი მომეჭრა, ავიყარე და გადავიკარგე.

**ნიკოლოზ დეისაძე**



## მთელი დღე

თამაშობენ, თამაშობენ,
თამაშობენ ხელები.
ხელები რომ იღლებიან,
თამაშობენ ფეხები.
თამაშობენ, თამაშობენ,
თამაშობენ ფეხები.
ფეხები რომ იღლებიან
თამაშობენ თვალები.
თამაშობენ, თამაშობენ,
თამაშობენ თვალები,
თვალები რომ იღლებიან,
იძინებენ ბავშვები.

**ანანო მჭედლიშვილი**
ქ. თბილისის 161-ე საშ.
სკოლის VI კლასი





## ნატვრა

ახალი წელი გათენდა
დღეა მზიანი,
ღმერთმა არავის მოგვცეთ ზიანი.
ჩემს ქვეყანას გაუთენე
დილა მშვიდობიანი,
დაგვებედოთ წელიწადი
უხვი, ბარაქიანი.
ეკლესიაში დავანთე სანთელი,
ვისურვე მომავალი ნათელი,
ტაძარს შევწირე კანდელი,
ღმერთო! დაიფარე ქართველი.

**მარიამ გაბუნია**
6 წლის.

დახატა დეა გეორბელიძემ. VI კლ.

# რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს:

მარიამ არაბულს, სანდრო ბრეგვაძეს, ნინო ბოტიკიშვილს, მაკა და ტატა გვასალიებს, მარიამ გრიგორაშვილს, ნატო გოგილაშვილს, ანა გრძელიძეს, თენგო მეზვრიშვილს, ირაკლი დონდუას, ეკუნა დოლიძეს, დაჩი დოლიძეს, მარიამ დემურაშ-ილს, შოთა ესიტაშვილს, გიული თოფურიას, სოფო ზანჯავაძეს, ელენე მარგალიტაძეს, თამუნა რურუას, მარიამ სეფაშვილს, მიშიკო ყოლბაიას, ქეთი ჯოხიძეს, ნიკუშა ჯიმშიაშვილს, თეონა ჯანაშვილს, თორნიკე ქაშიაშვილს და აკაკი ნაკაიძეს.



მშობლების საყურადღებოდ!
თუ გსურთ თქვენი პატარა ჩვენს საზეიმო სუფრასთან იხილოთ, დაგვიკავშირდით ორი თვით ადრე, რადგან ყოველგვარ ზეიმს თავისი მოსამზადებელი დროც ახლავს.
დაგვირეკეთ: 93-10-32.

კოლაჟი ეკა ავაზაშვილისა, V კლ.

# ჩვენი ტოპ-მოდელი სამზარეულოში



**ბავშვებო!**

თქვენ იცით, რომ ჩვენი ტოპ-მოდელი ნია თითქმის სულ დაკავებულია ხან საჩვენებელი გამოსვლებით, ხან სარეკლამო გადაღებებით, ხანაც ჟურნალისტებთან შეხვედრებით და კიდევ ვინ მოთვლის. მაგრამ ნუ იტყვით, თურმე ის სამზარეულოში ტრიალსაც ასწრებს. ახლა სწორედ ამ საინტერესო ამპლუაში წარმოგიდგათ ნია და თქვენთვის რამდენიმე ძალიან სასარგებლო რჩევაც მოგცათ:



თუ სტუმრები სწორედ მაშინ გეწვივნენ, როცა უფროსები შინ არ არიან, ნუ შეგეშინდებათ, ამ მარტივი რეცეპტით ძალიან გემრიელი კვერები ცხვება. სანამ თქვენი მეგობრები მხიარულად საუბრობენ: - აიღეთ ჭიქა ნახევარი შაქარი, 1 ჭიქა წყალი. დადგით ცეცხლზე, რომ წამოდუღდება, დაუმატეთ 1 შეკვრა მარგარინი, ცოტა მარილი, ცოტა ვანილი, 2 სუფრის კოვზი თაფლი, 1 ჩაის კოვზი სოდა, ფქვილი 6 ჭიქა; ცომი მოზილეთ და გამოაცხვეთ.



ფრთხილად! სიჩქარეში ცხობისას ხელი არ დაიწვათ, ან არაფერი გატეხოთ. თუ ეს მაინც მოხდა, ნამტვრევები გადაყარეთ და იქაურობა კარგად დაგავეთ, ნუ გეშინიათ, უფროსები ვერაფერს მიხვდებიან.



რაც შეეხება ნამცხვარს - თუ ცოტა უშნო გამოვიდა ან სულაც გაფუჭდა, ნურც ამაზე აღელდებით. გამოაღეთ მაცივარი და დედიკოს დამზადებული ნუგბარით გაუმასპინძლდით სტუმრებს.



# მოხუცი და მე

სიტყვა „მოხუცის“ ხსენებაზე მუდამ თვალწინ მიდგება ბაბუაჩემი, რომელსაც მხოლოდ სურათით ვიცნობ. მე თავიდანვე ასე მეგონა, რომ მისი სული სოფელში, ერთ ულამაზეს მუხაში იდგა. ალბათ ასეთივე ამაყი, დარბაისელი და რაინდი იყო ბაბუაჩემი, როგორიც ეს მუხა.

ერთხელ ამ ხესთან მივედი, მინდოდა გამეგო, თუ როგორ შევერწყმებოდით ერთმანეთს მოხუცი და მე. ჩამოვჯექი და გიორგი კაპანაძეს, ანუ მოხუცს, გამოვესაუბრე.

- გამარჯობა, ჩემო საყვარელო მოხუცო, რით შემიძლია გემსახურო! რაიმე ხომ არ გესაჭიროება?

- მე მხოლოდ ის მინდა, შენ არ დამივიწყო და ხშირად მოხვიდე ამ ხესთან. მალე დადგება ჩემი აღსასრულის დღეც. მაგრამ მაინც მოვევლინები ამ ქვეყანას.

მე ჩემი გულისტკივილი ვუთხარი, რომლის მიზეზი უმისოდ ცხოვრება იყო.

გავიდა ხანი. სოფელში ჩავედი და მაშინვე მოხუცისაკენ გავექანე. მაგრამ სადღა იყო ის მუხა - ბაბუაჩემის სული! ვიღაცას მოეჭრა. ეს თურმე საჭირო იყო, რადგან მუხა დაახლოებით ასი წლისა იყო და ტოტები ტყდებოდა, ველარ უძლებდა ამ ცხოვრების რიტმს. გამახსენდა, რომ მოხუცმა მითხრა, მალე ჩემი აღსასრულის დღე დადგებაო. მუხლებზე დავემხე და ღმერთს ვთხოვე, ამით არ დასრულებულიყო ჩემი და მოხუცის ურთიერთობა. იმედს არ ვკარგავდი და ყოველდღე მივდიოდი გადაჭრილ ხესთან. და აი, ერთხელაც დავინახე, რომ ზედ პატარა ტოტს ამაყად ამოეწია თავი.

- ვა, ჩემს ძმას გაუმარჯოს! - მომესმა ბაბუაჩემის ხმა. ალბათ როგორ ვუყვარვარ-მეთქი, რომ სამოცდაათი წლის მოხუცი თორმეტი წლის ბავშვს ძმას მიწოდებს.

... გადაჭრილ ხეზე ყლორტის ამოსვლა იმის მომასწავლებელია, რომ სიცოცხლე გრძელდება...

**ირაკლი კაპანაძე**
თბილისის 51-ე საშუალო სკოლის
VII კლასის მოსწავლე



დახატა გიორგი დვანაძემ. IV კლ.

მთავარი რედაქტორი **დოდო წივწივაძე**
სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.
მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30
გამოდის 1904 წლიდან

ჟურნალის ეს ნომერი დასურათებულია
თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს
საბავშვო სამხატვრო სკოლის მოსწავლეების მიერ.
სკოლის დირექტორი ნოდარ მუმლაძე
ყდაზე ნახატი დათო ცირიკაშვილისა, IV კლასი

დაბეჭდილია ბულგარეთში გამომცემლობა «შერის» მიერ.
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი
ხელმომწერთათვის: 2 ლარი

ინდექსი: 76055

# ჩუპა-ჩუპსი ახალი სიურპრიზით!!!






## CHUPA-CHUPS-ისა და თამაშების მოყვარულნო!

„ჩუპა-ჩუპსმა“ კვლავ ზღაპრული სიურპრიზი მოგიმზადათ უგემრიელეს კარამელთან ერთად. ახლა თქვენ შესაძლებლობა გაქვთ შეიძინოთ „ჩუპა-ჩუპსის“ „მონეტები“, ანუ „კაპსები“ და „ჩუპა-ჩუპსის“ „ჯილები“. ახალი თამაში (მსგავსი თამაშობანი - კოჭაობა, კაკლაობა და სხვა ძველთაგანვე ჩვენთანაც არსებობდა) შეგიძლიათ ითამაშოთ ყველგან: ქუჩაში, სახლში და სკოლაშიც კი, თამაშის წესები ადვილია: ჩაამწკრივებთ კაპსებს, დაუმიზნებთ, ესვრით ჯილას და თუ გადმობრუნდა, კაპსი თქვენია. სროლის მორიგეობა ასე განისაზღვრება: ისროლეთ თქვენ-თქვენი ჯილა, და ვისიც კაპსების მწკრივთან ყველაზე ახლოს დაეცემა, ის პირველი იწყებს თამაშს (კაპსებთან ჯილის სიახლოვეს შესაბამისად ისვრიან შემდეგი მოთამაშეებიც). ერთიც იცოდეთ: თუ კაპსის გადაბრუნებას მოახერხებთ, თამაშს განაგრძობთ მოცდენილ სროლამდე.

ვინც თავისი მოხერხებულობითა და სიმარჯვით 1000 ცალ კაპსს დააგროვებს,
ფირმა „ჩუპა-ჩუპსისაგან“ მიიღებს

**ვ ე ლ ო ს ი პ ე დ ს**

ასე, რომ მიირთვით ჩუპა-ჩუპსი, ითამაშეთ ახალი თამაში „კაპსობანა“ (იქნებ უკეთესი სახელიც მოიფიქროთ) და მიიღეთ თქვენი პრიზი